განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

შორენა ჯაფარიძე - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი

წევრები:

ხათუნა მაისაია - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი

ია მოსაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: 247865289

სახე:

- [x] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 14 ივნისის №486 (ცვლილება 2019 წლის 21 ივნისის N501ბრძანება) შექმნილმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა (ჯგუფის თავმჯდომარე - შორენა ჯაფარიძე, ჯგუფის წევრები -ხათუნა მაისაია, ია მოსაშვილი) 2019 წლის 2,3, და 4 ივლისს განახორციელა ვიზიტი ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში მისამართზე: შუახევის მუნიციპალიტეტი, ს. ტაკიძეები (ხიჭაური),

ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა დაწესებულების პირობების შესაბამისობის შემოწმება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების მე-6- მე-8 მუხლებით გათვალისწინებულ ავტორიზაციის სტანდარტებთან.
ექსპერტთა ჯგუფის წევრს, ია მოსაშვილს, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტს, დამატებით ფუნქციად განესაზღვრა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების დროს გამოვლენილი გარემოებების საფუძველზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობის შემოწმება და შეფასება.

ვიზიტი განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის მიხედვით, რომელიც წინასწარ გადაეგზავნა დაწესებულებას.**(დანართი 1)**

წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი ზემო აჭარაში ერთადერთი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც უმაღლესი აკადემიური განათლების პირველი და მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებთან ერთად, პროფესიულ პროგრამებს ახორციელებს. უნივერსიტეტი პრაქტიკულად ზემო აჭარის ცენტრში მდებარეობს, რაც საშუალებას აძლევს ადგილობრივ მოსახლეობას და პირველ რიგში ახალგაზრდობას სახლთან ახლოს, კომფორტულ გარემოში მიიღონ პროფესიული განათლება. უნივერსიტეტის ადგილმდებარეობიდან და რეგიონის თავისებურებებიდან გამომდინარე, მას საგანმანათლებლო ფუნქციასთან ერთად ეროვნულ-მოქალაქეობრივი და რელიგიური ტოლერანტობის ფუნქციაც ეკისრება.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა შეამოწმეს პროფესიული განათლების მარეგულირებელი დოკუმენტაცია, გაეცნენ წარმოდგენილი მოდულური პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებას, შეამოწმეს ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შექმნილი პროგრამები, ადაპტირებული მოდულები, სასწავლო გეგმების შესაბამისობა პროგრამის სტრუქტურასთან და შინაარსთან. გაანალიზეს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: შ. ჯაფარიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

შეფასების სისტემა, ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმები,პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მექანიზმები.

ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტები გაეცნენ დაწესებულების ინფრასტრუქტურას, შეისწავლეს წარმოდგენილი პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, დაადგინეს არსებული რესურსის შესაბამისობა მოდულურ პროგრამების მოთხოვნებთან; გადაამოწმეს პროგრამების მატერიალური რესურსის ფლობის/საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, შეამოწმეს ბიბლიოთეკა, პროგრამების საგანმანათლებლო რესურსები.

შესწავლილ იქნა და გაანალიზდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადი თითოეულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ.

ექსპერტებმა განიხილეს უნივერსიტეტის გრძელვადიან (ექვსწლიანი) და ერთწლიან სამოქმედო გეგმებში პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებული საკითხები.

ჩატარდა პროგრამის განხორციელებაში ჩართული ადამიანური რესურსების საქმიანობის და კვალიფიკაციის დამადასტუდებელი დოკუმენტაციის შემოწმება, მათთან დადებული ხელშეკრულებების შესაბამისობა კანონით დადგენილ ნორმებთან.

ვიზიტის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო ინტერვიუირებას. ექსპერტები გაესაუბრნენ უნივერსიტეტის პროფესიულ განათლებაში ჩართულ ადმინისტრაციულ პერსონალს, პროგრამების ხელმძღვანელებს, პროფესიული განათლების მასწავლებლებს, ასევე პროფესიულ სტუდენტებს.

ვიზიტის მსვლელობისას ექსპერტებმა დააფიქსირეს რამდენიმე ხარვეზი. ხარვეზების ნაწილი გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ დაწესებულებამ დროულად ვერ მოახერხა „საექთნო განათლების“ პროგრამის პრაქტიკული ნაწილის განხორციელებისთვის ხელშეკრულებების გაფორმება, ასევე მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსის უზრუნველყოფა, ვებგვერდის გამართული ფუნქციონირება, სასწავლო გეგმების შედგენა მოდულების წინაპირობების გათვალისწინებით. ყველა გამოვლენილი ხარვეზი და შეუსაბამობა დეტალურად იყო განხილული დაწესებულების წარმომადგენლებთან, მეტიც, განხილული იყო ხარვეზების აღმოფხვრის გზები.

ექსპერტებმა ასევე დაათვალიერეს მილევადი პროგრამების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების ობიექტები. გაესაუბრნენ აღნიშნული დაწესებულებების ხელმძღვანელებს, დააფიქსირეს მათი უნივერსიტეტთან თანამშრომლობის სურვილი და მზაობა ახალი პროგრამების ფარგლებშიც. ექსპერტთა ვიზიტის პროცესში დაწესებულებამ წარმოადგინა „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის დადებული ხელშეკრულებები, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დებულების“, მუხლი 20. პუნქტი 4-ის შესაბამისად, ხელშეკრულებები არ იყო გათვალისწინებული.

ვიზიტის ყოველი დღის ბოლოს ჯგუფის თავმჯდომარე აწყობდა შემაჯამებელ განხილვას ჯგუფის წევრებთან, ასევე უზიარებდა დაწესებულების წარმომადგენლებს ძირითად მიგნებებს.

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

- „საექთნო განათლება“
- „ბუღალტრული აღრიცხვა“.

	სტანდარტი	ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	☐	■
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	**მუხლი 6 / პუნქტი ა)**	☐	■
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.	**მუხლი 6 / პუნქტი ბ)**	■	☐
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ	**მუხლი 6 / პუნქტი გ)**		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ■ ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.			
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	■	□
1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	■	□
1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	■	□
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	□	■
2.1	დაწესებულებას საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	□	■
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა–ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)**	■	□
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)**	□	■
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	■	□
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	□	■
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში;	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	■	□
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	□	■
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	■	□
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)**	■	□
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	**მუხლი 7 /**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

		პუნქტი ვ.ბ)		
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)**	■	□
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)**	■	□
2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	**მუხლი 7 / პუნქტი ზ)**	■	□
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას; მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;	**მუხლი 7 / პუნქტი თ)**	□	■
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	**მუხლი 7 / პუნქტი ი)**	■	□
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	□	■
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	■	□
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	□	■
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი შეირჩევა კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	■	□

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ექსპერტებმა გააანალიზეს უნივერსიტეტის საქმიანობა და გამოკვეთეს ის ძირითადი მიმართულებები, რომელიც შეიძლება საუკეთესო გამოცდილების მაგალითებად ჩაითვალოს.

სტუდენტური სერვისები

უნივერსიტეტი სთავაზობს პროფესიულ სტუდენტებს უფასო განათლებას, უცხო ქვეყნის მოქალაქეები (მაგალიღად, საინგილოდან) უზრუნველყოფილი არიან საერთო საცხოვრებლით; სტუდენტებსა და თანამრომლებს აქვთ უფასო სამჯერადი კვება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

V. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი 1 - <u>ქვესტანდარტი 1.1. -ავტორიზაციის დებულების მუხლი 6 / პუნქტი ა)</u>

- *„ბუღალტრული აღრიცხვის“ და „საქართო განათლების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს არ აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა. სასწავლო გეგმაში არ არის გათვალისწინებული მოდულებზე დაშვების წინაპირობები. „საქართო განათლების“ პროგრამის სასწავლო გეგმაში ცალკეულ მოდულებზე არასწორად არის მითითებული საათების რაოდენობა და არ შეესაბამება მოდულზე გათვალისწინებულს.*

ხარვეზი 2 -. ქვესტანდარტი 2.1.2. -ავტორიზაციის დებულების მუხლი 7 / პუნქტია. ბ)

- *„საქართო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული სწავლებისთვის განკუთვნილი მატერიალურ რესურსი (ინვენტარი, აღჭურვილობა, მასალა, ნედლეული) უზრუნველყოფილი და ხელმისაწვდომი უნდა იყოს კლინიკური პრაქტიკის ობიექტებზე მათთან დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე. <u>დაწესებულებას ვიზიტის დროს არ წარმოუდგენია აღნიშნული სახის ხელშეკრულებები. შესაბამისად, არ არის უზრუნველყოფილი</u> „საქართო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული სწავლების კომპონენტის (14 პროფესიული მოდული - 90 კრედიტი) განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი, განსხვავებით პროგრამის თეორიული სწავლებისთვის განკუთვნილი მატერიალური რესურსისა, რომელიც დაწესებულებაში სრულად არის წარმოდგენილი.*

ხარვეზი 3. ქვესტანდარტი 2.3. -ავტორიზაციის დებულების მუხლი 7 / პუნქტი გ)

- *დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) არ შეესაბაება „საქართო განათლების“ საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებულ ლიტერატურას.*

ხარვეზი 4. ქვესტანდარტი 2.5. -ავტორიზაციის დებულების მუხლი 7 / პუნქტი ე)

- *დაწესებულება ვერ უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრის წარმოებას, კერძოდ დარღვეულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის ბრძანება №127/ნ დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების წესის“ მუხლი 13. „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებების რეესტრში პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მქონე/ჩარიცხული პირების შესახებ შესატანი ინფორმაცია". ვინაიდან რეესტრში ზემოაღნიშნული წესით დადგენილ ვადებში არ არის ასახული ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის 2017 წლის 20 ივვისის N 01-13/9, 2019 წლის 11 მარტის N 01-07/07, 2019 წლის 21 ივნისის N01-07/08 ბრძანებებში მითითებული სტატუს შეჩერებული და შეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების შესახებ ინფორმაცია.

ხარვეზი 5. ქვესტანდარტი 2.8. -ავტორიზაციის დებულების მუხლი7 / პუნქტი თ)

- *ვიზიტის პერიოდში ვებგვერდზე წარმოდგენილი ინფორმაცია არ იყო ხელმისაწვდომი, ვებგვერდი არ ფუნქციონირებს სრულფასოვნად, განყოფილებების ნაწილი არ იხსნება.*

ხარვეზი 6 ქვესტანდარტი 3.2. -ავტორიზაციის დებულების მუხლი 8 / პუნქტი ბ)

- *დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ვერ დგინდება „საექთნო განათლების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კლინიკურ სწავლებაში ჩართული ექთნების ვინაობა ან/და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ექთნებსა და პროფესიულ სტუდენტებს შორის თანაფარდობის (1/7) არსებობა, ასევე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა. აღნიშნული ინფორმაციის დადგენა შესაძლებელია კლინიკური პრაქტიკის ობიექტთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც დაწესებულებას არ წარმოუდგენია.*

VI. რეკომენდაციების შეჯამება

<u>ქვესტანდარტი 1.1</u>

1. ***რეკომენდებულია,*** *რომ პროფესიული სწავლების მარეგულირებელ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი ტერმინოლოგია შესაბამისობაში იქნას მოყვანილი 2018 წლის 20 სექტემბერს მიღებულ „პროფესიული განათლების შესახებ" ახალ კანონთან .*
2. ***რეკომენდებულია,*** *რომ პროფესიული სტუდენტების განმეორებითი შეფასების მექანიზმის დახვეწის სასწავლო გეგმების შედგენისას გათვალისწინებული იყოს განმეორებითი*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

შეფასების შესაძლებლობა წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის დროის ინტერვალის დაცვით;

3. ***რეკომენდებულია,*** *რომ განხორციელდეს მოდულების ადაპტაცია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემოთავაზებული რეკომენდაციების საფუძველზე.*

<u>ქვესტანდარტი 1.2</u>

4. ***რეკომენდებულია,*** *რომ დაწესებულებამ უზრუნველყოს კატალოგის განახლება, მისი ვებ-გვერდზე განთავსება.*

<u>ქვესტანდარტი 1.4.</u>

5. ***რეკომენდებულია,*** *რომ უნივერსიტეტის რექტორის 2017 წლის 17 ნოემბრის №01–07–09/დ ბრძანებით დამტკიცებული „მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესი“-ში დაწვრილებით გაიწეროს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული პროცედურები, ასევე დაემატოს აპლიკანტთა მიღების პირობები, არასრულწლოვანთა ჩარიცხვის პროცედურები. უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების პროცედურები; ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების აღიარების პროცედურები.*

<u>ქვესტანდარტი 1.5.</u>

6. ***რეკომენდებულია,*** *რომ უნივერსიტეტმა გააფორმოს მემორანდუმები/ხელშეკრულებები სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან პროგრამების შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფისთვის.*

<u>ქვესტანდარტი 2.6.</u>

7. ***რეკომენდებულია,*** *რომ დაწესებულებაში შემუშავებული „ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებების გეგმა“, რეალიზებულ იქნას დასახულ ვადებში (2019 წლის 31 დეკემბრამდე).*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

<u>ქვესტანდარტი 3.2.</u>

8. ***რეკომენდებულია,*** *რომ ჩამოყალიბდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებლების მიმართ მკაფიო საკვალიფიკაციო მოთხოვნები;*

<u>ქვესტანდარტი 3.3.</u>

9. ***რეკომენდებულია,*** *რომ შრომით ხელშეკრულებებში და სხვა დოკუმენტაციაში ტერმინი „მოწვეული ლექტორი“, რომელიც გამოყენებულია პროფესიული პროგრამების განმახორციელებლებთან მიმართებაში, შეიცვალოს ტერმინით „პროფესიული განათლების მასწავლებელი“ ან „პროფესიული პროგრამის განმახორციელებელი პირი“, ასევე ჩამოყალიბდეს მათი სამსახურში მიღების ფორმალიზებული წესი.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

VII. დაწესებულების მისია

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მისიაა:

ქართველი ერის კეთილდღეობის, ეკონომიკური ძლიერების, სულიერების ამაღლების და მსოფლიო საზოგადოებაში ინტეგრირების ხელშეწყობისათვის უნივერსიტეტი ქმნის თანამედროვე საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობისთვის შესაბამის გარემოს, სთავაზობს მაღალი ხარისხის საგანმანათებლო პროგრამებს, უზრუნველყოფს კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას, ხელს უწყობს მაღალი ეროვნულ-მოქალაქეობრივი შეგნების და რელიგიური ტოლერანტობის მატარებელი პიროვნების ჩამოყალიბებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

სტანდარტების შეფასება

1. **საგანმანათლებლო პროგრამები**

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტმა (შემდგომში- უნივერსიტეტი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების მიზნით წარმოადგინა 2 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „საექთნო განათლება“ და „ბუღალტრული აღრიცხვა“. გარდა წარმოდგენილი პროგრამებისა, დაწესებულება მილევად რეჟიმში ახორციელებს სამ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას.

წარმოდგენილი პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობა განპირობებულია შემდეგი გარემოებებით: უნივერსიტეტი პრაქტიკულად ერთადერთი საგანმანათლებლო დაწესებულებაა ზედა აჭარის რეგიონში, რომელიც სთავაზობს პროფესიულ პროგრამებს, 2017 წლიდან დაწესებულებაში ხორციელდება მსგავსი შინაარსის მოდულური პროგრამები -„პრაქტიკოსი ექთანი“ და „ბუღალტერი“, რომელიც ამჟამად მილევად რეჟიმშია, დაგროვილია გამოცდილება, არსებობს პროგრამის განხორციელებისთვის ადამიანური რესურსი. უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში „პროფესიული მოდულური პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობა“,ასევე აღნიშნულია, რომ ზემო აჭარის რეგიონში არის მაღალი მოთხოვნა აღნიშნულ პროფესიებზე. დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა ასევე დაადასტურეს აღნიშნული ფაქტი, თუმცა მატერიალური სახით არსებული მტკიცებულებები არ ყოფილა წარმოდგენილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უნივერსიტეტში მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება ხორციელდება ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის 2017 წლის 17 ნოემბრის №01–07–09/დ ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტის „მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“-ს საფუძველზე.
აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად, პროგრამების დაგეგმვა ეფუძნება შრომის ბაზრის - დამსაქმებელთა მოთხოვნათა ანალიზს ან/და პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის ანალიზს ან/და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ანალიზს/დასაქმების მაჩვენებლებს ან/და სხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს. კვლევის ანალიზის შედეგების საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი „უნივერსიტეტი“-ის რექტორს წარუდგენს მოხსენებით ბარათს, სადაც დასაბუთებულია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საჭიროება. ამ შემთხვევაშიც ბაზრის მოთხოვნასთან დაკავშირებული დამადასტურებული დოკუმენტაცია წარმოდგენილი არ იყო.
უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს რექტორი, რომელიც უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეა, რაც განსაზღვრულია რექტორის 2018 წლის 28 დეკემბრის №01-03/23 ბრძანებით დამტკიცებული „ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის დებულების“, მუხლი 6-ით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები დამტკიცებულია რექტორის 2019 წლის 15 თებერვლის N01-03/25 და 2019 წლის 7 მაისის N01-03/26 ბრძანებებით.

წარმოდგენილ პროგრამებში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია; პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები, დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულის დასაქმების შესაძლებლობები, პროგრამის სტრუქტურა და მოდულების ჩამონათვალი (ზოგადი, სავალდებულო პროფესიული/დარგობრივი მოდულები). ასევე, ინფორმაცია თუ როგორ განხორციელდა ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის.
პროგრამის„საექთნო განათლება“მოცულობა კრედიტებში ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის შეადგენს 180 კრედიტს, ხოლო ხანგრძლივობა - 120 კვირაა. არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამის მოცულობა - 210 კრედიტია, ხანგრძლივობა - 184 კვირა.

პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ მოცულობა კრედიტებში ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის შეადგენს 99 კრედიტს, ხოლო ხანგრძლივობა - 72 კვირაა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამის მოცულობა - 129 კრედიტია, ხანგრძლივობა - არ არის მოცემული.

პროგრამებს დანართების სახით ერთვის მოდულები, სასწავლო გეგმები როგორც ქართულენოვანი, ისე არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალი, მათი კვალიფიკაციის მითითებით, სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსი.

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია წარმოდგენილია რექტორის 2017 წლის 17 ნოემბრის №01–07–09/დ ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“, მუხლი 13-ით „პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება მოდულური პროგრამების შემთხვევაში განსაზღვრავა“. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისობაშია, კერძოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბერის ბრძანება №121/ნ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“, მუხლი 41-თან „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში“

ექსპერტებმა მილევად რეჟიმში არსებული პროგრამების მაგალითზე შეისწავლეს და გაანალიზეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პრაქტიკა, ვინაიდან ანალოგიული მიდგომები გამოყენებულ იქნება ახალი პროგრამების შემთხვევაშიც. თითოეულ მოდულისთვის შემუშავებულია კალენდარული გეგმები, რომლებიც შედგენილია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემოთავაზებული რეკომენდაციების შესაბამისად. არსებობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების მექანიზმები, რომელიც გაწერილია „მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“, „მუხლი 11. ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმა“. თუმცა ინდივიდუალურ სასწავლო გეგმები წარმოდგენილი არ იყო, ვინაიდან, დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, ამისი საჭიროება არ არსებობდა. ექსპერტებმა ასევე გადაამოწმეს პროფესიული სტუდენტების პორტფოლიო, შეფასების ინსტრუმენტები, უწყისები.

ვიზიტის დროს ექსპერტებმა განახორციელეს ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლების, მათ შორის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების, ასევე პროგრამის განმახორციელებელი პირებისა და ხელმძღვანელების ინტერვიუირება.

პროგრამების გადამოწმებისას ექსპერტებმა შემდეგი გარემოებები დააფიქსირეს:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

1) <u>**პროგრამას „ბუღალტრული აღრიცხვა“ არ აქვთ თანმიმდევრული სტრუქტურა**</u>

სასწავლო გეგმის შედგენისას არ არის გათვალისწინებული მოდულზე დაშვების წინაპირობები, ასე მაგალითად: მოდული „ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები“ წარმოადგენს პრერეკვიზიტს მოდულისთვის „სააღრიცხვო მონაცემთა ბაზის შექმნა“, სასწავლო გეგმაში მოდულების სწავლება თითქმის პარალელურ რეჟიმში არის დაგეგმილი; მოდული „ფინანსური ანგარიშგების შედგენა“ იწყება 48-ე კვირიდან, ხოლო მისი პრერეკვიზიტი მოდულის „კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამაში მუშაობა” სწავლება დაგეგმილია 50-ე კვირიდან; მოდულს „ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება ეკონომიკური საქმიანობის სახეობის მიხედვით” ორი პრერეკვიზიტი მოდული აქვს „ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები“ და „სააღრიცხვო მონაცემთა ბაზის შექმნა“, სასწავლო გეგმის მიხედვით მოდულების სწავლება ასევე პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს.
სასწავლო გეგმაში მოდული „მეწარმეობა 3“ პირველი კვირიდან არის დაგეგმილი, სასურველია სწავლის ბოლო ეტაპზე გადატანა;

2) <u>**პროგრამას „საექთნო განათლება“ არ აქვთ თანმიმდევრული სტრუქტურა**</u>

„საექთნო განათლების“ პროგრამის სასწავლო გეგმაში არ არის დაცული მოდულზე დაშვების წინაპირობები, კერძოდ:

„მოდულის პედიატრია და მოზარდები“ მიმდინარეობს 33 კვირიდან 57 კვირის ჩათვლით. ამ მოდულის დაშვების წინაპირობებია - „პათოლოგია“ (პათანატომია - პათფიზიოლოგია), რომელიც მიმდინარეობს 30 - 42 კვირა. „ფარმაკოლოგია“ , რომელიც მიმდინარეობს 44 - 56 კვირა. ავადმყოფის მოვლა, რომელიც მიმდინარეობს 58 - 77 კვირა, ანუ პრაქტიკულად პარალელურად;

მოდული „სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები“ მიმდინარეობს 50კვირიდან 74 კვირის ჩათვლით. ამ მოდულის დაშვების წინაპირობებია - „ფარმაკოლოგია:, რომელიც მიმდინარეობს 44 - 56 კვირა. „ავადმყოფის მოვლა, რომელიც მიმდინარეობს 58 - 77 კვირა.

მოდული „თერაპიული პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები“ მიმდინარეობს 33 კვირიდან 54 კვირის ჩათვლით. ამ მოდულის დაშვების წინაპირობებია - ფარმაკოლოგია , რომელიც მიმდინარეობს 44 - 56 კვირა. ავადმყოფის მოვლა, რომელიც მიმდინარეობს 58 - 77 კვირა.
მოდული „ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები“ მიმდინარეობს 33 კვირიდან 55 კვირის ჩათვლით. ამ მოდულის დაშვების წინაპირობებია - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები, რომელიც მიმდინარეობს 33 – 54 კვირა. „ფარმაკოლოგია“, რომელიც მიმდინარეობს 44 - 56 კვირა. „ავადმყოფის მოვლა“, რომელიც მიმდინარეობს 58 - 77 კვირა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოდული „ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია“ მიმდინარეობს 70 კვირიდან 84 კვირის ჩათვლით. ამ მოდულის დაშვების წინაპირობაა „ავადმყოფის მოვლა“, რომელიც მიმდინარეობს 58 - 77 კვირა.

მოდული „გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები“ მიმდინარეობს 43 კვირიდან 57 კვირის ჩათვლით. ამ მოდულის დაშვების წინაპირობებია - „თერაპიული პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები“, რომელიც მიმდინარეობს 33 – 54 კვირა. „ფარმაკოლოგია“, რომელიც მიმდინარეობს 44 - 56 კვირა. ავადმყოფის მოვლა, რომელიც მიმდინარეობს 58 - 77 კვირა.

მოდული „კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები“ და „ანესთეზია“ მიმდინარეობს 47 კვირიდან 68 კვირის ჩათვლით. ამ მოდულის დაშვების წინაპირობებია - „თერაპიული პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები“, რომელიც მიმდინარეობს 33 – 54 კვირა. „ფარმაკოლოგია“, რომელიც მიმდინარეობს 44 - 56 კვირა. „ავადმყოფის მოვლა“, რომელიც მიმდინარეობს 58 - 77 კვირა.

2) <u>“საექთნო განათლების“ პროგრამის სასწავლო გეგმაში საათები არ არის სწორად გათვლილი და გადანაწილებული</u>

„კლინიკური პრაქტიკა - პედიატრია და მოზარდების“ მოდულზე გათვალისწინებული საათების რაოდენობა შეადგენს - 175. სასწავლო გეგმაში მითითებულია - 275 საათი, ხოლო კვირეების მიხედვით გადანაწილებულია 250 საათი.
„შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - პედიატრია და მოზარდების“ მოდულში საათების რაოდენობაა - 75. სასწავლო გეგმაში მითითებულია და გადანაწილებულია კვირეების მიხედვით- 150 საათი.
„კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა“ მოდულში საათების რაოდენობაა 275. სასწავლო გეგმაში მითითებულია და გადანაწილებულია კვირეების მიხედვით 250 საათი.

„კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა“ მოდულში არის 300 საათი - ასე წერია სასწავლო გეგმაშიც, თუმცა სასწავლო გეგმაში კვირეების მიხედვით გადანაწილებულია 303 საათი.
„შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა“ მოდულში არის 100 საათი - ასე წერია სასწავლო გეგმაშიც, თუმცა სასწავლო გეგმაში კვირეების მიხედვით გადანაწილებულია 101 საათი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

„კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა“ იწყება 59 კვირას და მთავრდება 95 კვირას. 94 კვირას არ არის აღნიშნული საათების რაოდენობა.
სასწავლო გეგმაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა მოდულის დასახელებაში კერძოდ ორჯერ არის მითითებული მოდულის დასახელება - კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა აქედან ერთი უნდა იყოს შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა.

ზოგირთ კვირაში კვირეული დატვირთვა 20 საათზე ნაკლებია და ზოგიერთ კვირაში კვირეული დატვირთვა 40 საათზე მეტია.

3) <u>**პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ - მოდულები ნაწილობრივ ადაპტირებულია.**</u>
პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ მოდულები ადაპტირებულია, თუმცა არ არის გათვალისწინებული განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 31 იანვარის N80/ი ბრძანებით დადგენილი მოდულების ჩარჩოში ტექნიკური ხასიათის ცვლილებები, რომელიც ეხება „მოდულზე დაშვების წინაპირობის“, „საათების განაწილების სარეკომენდაციო სქემის“, „სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსი - ინვენტარი, აღჭურვილობის” ჩაწერის წესს;

4) <u>**პროგრამის „საექთნო განათლება“- მოდულები არ არის ადაპტირებული.**</u>
რაც შეეხება პროგრამას „საექთნო განათლება“- მოდულები არ არის ადაპტირებული და მათში არ არის გათვალისწინებული განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 31 იანვარის N83/ი,2019 წლის 7 თებერვლის N 115/ი და 2019 წლის 22 თებერვლის N 140/ი ბრძანებებით დადგენილი მოდულების ჩარჩოში ტექნიკური ხასიათის ცვლილებები.

ხარვეზი 1
<u>„ბუღალტრული აღრიცხვის” და „საექთნო განათლების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს არ აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა -სასწავლო გეგმაში არ არის გათვალისწინებული მოდულებზე დაშვების წინაპირობები. „საექთნო განათლების“ პროგრამის სასწავლო გეგმაში ცალკეულ მოდულებზე არასწორად არის მითითებული საათების რაოდენობა და არ შეესაბამება მოდულზე გათვალისწინებულს.</u>

<u>დასტურდება</u> (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „პროფესიული მოდულური პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობა“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- „მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (რექტორის 2017 წლის 17 ნოემბრის №01–07–09/დ ბრძანება)
- დამტკიცებული „ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის დებულება“ (რექტორის 2018 წლის 28 დეკემბრის №01-03/23 ბრძანება)
- რექტორის 2019 წლის 15 თებერვლის N01-03/25 და 2019 წლის 7 მაისის N01-03/26 ბრძანებები პროგრამების დამტკიცების შესახებ;
- მოდულური პროგრამები, მოდულები, სასწავლო გეგმები;
- დაწესებულების ადმინისტრაციული პერსონალის და პროგრამის განმახორციელებლების ინტერვიუირება.

შეფასება:

☐ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

■ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა - კატალოგი 2017 წლის. კატალოგში მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაციების, პროგრამაზე დაშვების წინაპირობების, საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებში გამოსახული მოცულობისა და თვეებში გამოსახული სწავლის ხანგრძლივობის შესახებ, ასევე პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასების წესის შესახებ. კატალოგი ბეჭდური სახით იყო წარმოდგენილი (დანართი 2). კატალოგში, ანონსის სახით, არ არის ასახული ინფორმაცია დასამატებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ.

დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლის განმარტებით, მათ შემუშავებული აქვთ ახალი კატალოგი, რომელიც ვებ-გვერდზე უნდა იყოს ატვირთული, თუმცა ვიზიტის პერიოდში აღნიშნული კატალოგის დათვალიერება ვერ მოხერხდა, ვებ გვერდი შეფერხებით მუშაობდა, მიმდინარეობდა მისი განახლება, ხოლო ნაბეჭდი სახით ახალი კატალოგი წარმოდგენილი არ იყო.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ნაბეჭდი სახით.
- დანართი 2 – „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი - 2017“.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს, კერძოდ:

1. **„ბუღალტრული აღრიცხვა“** შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტთან „ბუღალტრული აღრიცხვა“-04114-პ, რომელიც დამტკიცებულია სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებებით: N656. 13.10.2017; ცვლილება 2017 წლის 29 დეკემბერი N 842; ცვლილება - 2019 წლის 31 იანვარი N 80/ი;

2. **„საექთნო განათლება“** შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტთან „საექთნო განათლება“ 09109-პ, რომელიც დამტკიცებულია სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებებით: N 407/ი. 21.05.2018, ცვლილება - 2019 წლის 31 იანვარი N 83/ი, ცვლილება - 2019 წლის 7 თებერვალი N 115/ი, ცვლილება - 2019 წლის 22 თებერვალი N 140/ი, ცვლილება - 2019 წლის 16 აპრილი N 274/ი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- წარმოდგენილი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შედარებით შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტთან.

შეფასება:

☒ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები, რომელიც წარმოდგენილია რექტორის 2017 წლის 17 ნოემბრის №01–07–09/დ ბრძანებით დამტკიცებულ დოკუმენტის „მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ სხვადასხვა მუხლებით, კერძოდ:

- მუხლი 4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება;
- მუხლი 5. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება;
- მუხლი 6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა;
- მუხლი 7. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა;
- მუხლი 9. მიღებული განათლების აღიარება;
- მუხლი 10.არაფორმალური განათლების აღიარება
- მუხლი 15. კვალიფიკაციის მინიჭების კრიტერიუმები
- მუხლი 16. კვალიფიკაციის მიმნიჭებელი კომისია
- მუხლი 17. კვალიფიკაციის მინიჭება.

აღსანიშნავია, რომ დოკუმენტში წარმოდგენილი წესები საკმაოდ ზოგადი ხასიათიაა, ბევრი საკითხი არ არის დაკონკრეტებული, ასე მაგალითად პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემთხვევაში წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა; დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ კონკრეტული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა მიღების პირობები, რექტორის ბრძანებებშია დაკონკრეტებული (დანართი 3).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

„მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში“ ასევე არ არის წარმოდგენილი უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების პროცედურები; ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების აღიარების პროცედურები; არასრულწლოვანთა ჩარიცხვის პროცედურები.

ვიზიტის დროს ექსპერტებმა გადაამოწმეს პროფესიული სტუდენტების სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების პრაქტიკა მილევადი პროგრამების მაგალითზე.
ექსპერტების მიერ შემთხვევითი პრინციპით შერჩეულ იქნა ორი სტუდენტის პორტფოლიო და შემოწმდა პროფესიულ სტუდენტთა დოკუმენტაცია ჩარიცხვიდან დიპლომის გაცემამდე. შემოწმდა პროფესიულ სტუდენტებთან დადებული ხელშეკრულებები. აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულებები ცალკე ფაილის სახით ინახება და არ დევს პროფესიულ სტუდენტთა პირად საქმეებში. კვალიფიკაციის მინიჭების და შესაბამისი დოკუმენტაციის შემოწმება ვერ მოხერხდა, ვინაიდან, დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნული დოკუმენტაციია შემუშავების პროცესშია.

ექსპერტებმა ასევე გადაამოწმეს 2018 წელს რექტორის 26 ნოემბრის 2018 წლის N01-07-24ა ბრძანებით ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები. დადგინდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტთა ჩარიცხვის წესით არ არის გაწერილი წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა, ყველა სტუდენტის პორტფოლიოში სრულად არის წარმოდგენილი შემდეგი დოკუმენტაცია: ხელმოწერილი განცხადება რექტორის სახელზე პროგრამაზე მიღების შესახებ; 2 ფერადი ფოტოსურათი; პირადობის მოწმობის ასლი; განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც შესაბამისია პროგრამით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან; დამატებით, სტუდენტების ნაწილს წარმოდგენილი აქვს დაბადების მოწმობა. ექსპერტებმა ასევე გადაამოწმეს განხორციელებულია თუ არა არასრულწლოვანი პირების მიღების პროცედურები არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. აღმოჩნდა, რომ 2018 წელს ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა შორის არასრულწლოვანი პირები არ ყოფილა.

ვიზიტის დროს ჩატარდა „ბუღალტერის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტების ინტერვიუირება. სტუდენტების უმრავლესობა ახლომდებარე სოფლებიდან არიან, რამდენიმე სტუდენტს აქვს მიღებული უმაღლესი განათლება. სტუდენტებმა დააფიქსირეს მოსაზრებები სწავლებისა და შეფასების შესახებ, ასევე დადასტურდა, რომ სტუდენტების მხარდაჭერა და სერვისები ვრცელდება პროფესიულ სტუდენტებზეც, უფასო სწავლა, სამჯერადი უფასო კვება, მონაწილეობა კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში და სხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (რექტორის 2017 წლის 17 ნოემბრის №01–07–09/დ ბრძანება);
- ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლების და პროფესიული სტუდენტების ინტერვიუირება;
- დანართი 3- „რექტორის ბრძანებები აპლიკანტთა ჩარიცხვაზე, პროფესიული სტუდენტების სტატუსის შეჩერებასა და შეწყვეტაზე”.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები წარმოდგენილია ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის 2017 წლის 17 ნოემბრის №01–07–09/დ ბრძანებით დამტკიცებულ დოკუმენტში „მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, მუხლი 2. „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეცვლისა და გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა“.

აღნიშნული წესის მიხედვით, თუ პროგრამის მოცულობა არ აღემატება 30 კრედიტს, მისი შეცვლის შემთხვევაში, დაწესებულება ვალდებულია დაასრულებინოს პროფესიულ სტუდენტს სწავლა იგივე პროგრამით, ხოლო თუ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა აღემატება 30 კრედიტს, დაწესებულება ვალდებულია დაასრულებინოს პროფესიულ სტუდენტს ის სასწავლო კომპონენტი/მოდული, რომლის შესწავლაც დაწყებულია და მხოლოდ ამის შემდეგ გადაიყვანოს პროფესიული სტუდენტი მოდიფიცირებულ/შეცვლილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და ინდივიდუალური გეგმით გააგრძელებინოს სწავლა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, დაწესებულება სთავაზობს პროფესიულ სტუდენტს ამავე ან სხვა დაწესებულებაში, იმავე ან მსგავსი მიმართულებისა და სპეციალობის ფარგლებში განხორციელებულ სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლას მობილობის წესით. იმ შემთხევაში თუ მსგავსი მიმართულების პროფესიული პროგრამები სხვა დაწესებულებებში არ ხორციელდება, უნივერსიტეტი იღებს ვალდებულებას პროფესიულ სტუდენტს დაასრულებინოს შესაბამისი საფეხურის/დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

<u>დაწესებულებას არ წარმოუდგენია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ და „საექთნო განათლება“</u> შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით, სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებული მემორანდუმები/ხელშეკრულებები. წარმოდგენილი იყო 2016 წლის დადებულ „ბუღალტრის“ და “პრაქტიკოსი ექთნის“ პროგრამებისთვის დადებული ურთიერთთანამშრომლობის. დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლების განმარტებით, მათ დაწყებული აქვთ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმების პროცესი.

ექსპერტების აზრით, ვინაიდან დაწესებულების მიერ დადგენილი წესების შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში მემორანდუმი არ წარმოადგენს სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის ერთადერთ მექანიზმს და დაწესებულებას, მემორანდუმის არ არსებობის შემთხვევაში, შეუძლიათ სხვა მექანიზმების ამოქმედებაც.

აღსანიშნავია, რომ ვიზიტის მიმდინარეობისას, დაწესებულებამ გააფორმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები ორივე პროგრამის ფარგლებში, თუმცა ექსპერტების მიერ მათი გათვალისწინება არ მოხდა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“, მუხლი 20. პუნქტი 4-ის შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (რექტორის 2017 წლის 17 ნოემბრის №01–07–09/დ ბრძანება).

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფას არეგულირებს რექტორის 2017 წლის 10 ნოემბრის № 01-07-09/ბ ბრძანებით დამტკიცებული "ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება", ასევე რექტორის 2019 წლის 7 მაისის № 01-03/27 ბრძანებით დამტკიცებული „მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების სისტემა".

ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულებაში შექმნილია შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, შემუშავებულია შიდა მხარდაჭერის ჯგუფის გეგმა. შიდა მხარდაჭერის ჯგუფი ატარებს პროფესიული სტუდენტების, პროგრამების განმახორციელებელი პირების გამოკითხვას, საკონტაქტო საათზე დასწრებას, შედეგების შეჯამებას, ანალიზს და რეკომენდაციების შემუშავებას პროცესების შემდგომი გაუმჯობესებისთვის.
განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეკომენდაციების მიხედვით, დაწესებულებამ შეიმუშავა შემდეგი სახის კითხვარები და ფორმები:

- შიდა მხარდაჭერის კითხვარი პროფესიული სტუდენტისათვის (დამტკიცებულია რექტორის 2018 წლის 29 დეკემბრის № 01-03/27 ბრძანებით);
- „შიდა მხარდაჭერის ჯგუფის კითხვარი პროგრამის განმახორციელებლი პირისთვის" (დამტკიცებულია რექტორის 2018 წლის 29 დეკემბრის № 01-03/27 ბრძანებით);
- შიდა მხარდაჭერის ჯგუფის საკონტაქტო საათზე დასწრების ფორმა (დამტკიცებულია რექტორის 2018 წლის 29 დეკემბრის № 01-03/27 ბრძანებით).

შიდა მხარდაჭერის ჯგუფის მიერ ჩატარებული პროფესიული სტუდენტების გამოკითხვა ხორციელდება ყოველი მოდულის დასრულების შემდეგ.
ვიზიტის დროს ექსპერტებმა განიხილეს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ხარისხის უზრუვნელყოფის მექანიზმები „პრაქტიკოსი ექთნის" და „ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მაგალითზე. კერძოდ: შიდა მხარდაჭერის ჯგუფის კითხვარი პროგრამის განმახორციელებლი პირისთვის; შიდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მხარდაჭერის ჯგუფის საკონტაქტო საათზე დასწრების ფორმები; პროფესიული სტუდენტის კითხვარი, პროფესიული სტუდენტების გამოკითხვის შედეგების ანალიზი. (დანართი 4).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- "ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება" (რექტორის 2019 წლის 7 მაისის № 01-03/27 ბრძანება);
- „მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების სისტემა" (რექტორის 2017 წლის 10 ნოემბრის № 01-07-09/ბ ბრძანება)'
- შიდა მხარდაჭერის კითხვარი პროფესიული სტუდენტისათვის (რექტორის 2018 წლის 29 დეკემბრის № 01-03/27 ბრძანება);
- „შიდა მხარდაჭერის ჯგუფის კითხვარი პროგრამის განმახორციელებლი პირისთვის" (რექტორის 2018 წლის 29 დეკემბრის № 01-03/27 ბრძანება)
- შიდა მხარდაჭერის ჯგუფის საკონტაქტო საათზე დასწრების ფორმა (რექტორის 2018 წლის 29 დეკემბრის № 01-03/27 ბრძანება);
- დანართი 4 - „საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ხარისხის უზრუვნელყოფის მექანიზმების მაგალითი".

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულებას საპატრიარქოდან თხოვებით გადაცემული აქვს ფართი მისამართზე შუახევის მუნიციპალიტეტი, სოფელი ტაკიძეები (ხიჭაური) - მიწის უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: N [redacted]
დაზუსტებული ფართია 61776,00 კვ.მ. და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები.აქედან თხოვების ხელშეკრულებით, რომელიც რეგისტრირებულია 14/07/2018, რეგისტრაციის ნომერია [redacted] - N 7 შენობა საერთო ფართია 1155,7 კვ. მ.(1-ლი სართული 585,7 კვ.მ- ადმინისტრაცია, მე-2 სართული რომელიც გამოიყენება პროფესიული პროგრამების განხორციელებისათვის - 570 კვ.მ), N 21 შენობა საერთო ფართია 783 კვ.მ.(ბიბლიოთეკა)

№	მისამართი	**კვ.მ.**
	შუახევის მუნიციპალიტეტი. ს. ტაკიძეები (ხიჭაური)	61776,00

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის გამოყოფილია მე-7 კორპუსის 4 სართულიანი შენობის მეორე სართული. ფართის გამოყოფა სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე მოხდა, რაიმე ოფიციალური დოკუმენტი არ შემუშავებულა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებულია სათანადო ინვენტარით აღჭურვილი შემდეგი სასწავლო ფართი, კ ე რძ ოდ:

- **“ ბუღალტრული აღრიცხვის კომპიუტერული კლასი“,** 83,6 კვ.მ. (B გარემო). ოთახში განლაგებულია 15 კომპიუტერი პროფესიული სტუდენტისათვის და 1 კომპიუტერი პროფესიული მასწავლებლისათვის. ყველა კომპიუტერში ჩატვირთულია ლიცენზირებული საბუღალტრო პროგრამა „ორისი“; ასევე ოთახში განთავსებულია 1 პრინტერი, 1 პროექტორი, 1დაფა, 1 ფლეპჩარტი, 15 კალკულატორი.
- **„ინფორმაციული ტექნოლოგიების კლასი“**= 83,6 კვ.მ, (B გარემო). 14 კომპიუტერი პროფესიული სტუდენტისათვის, 1 პროფესიული მასწავლებლისათვის,1 პრინტერი, მონიტორი, 15 მოსწავლის მერხი - 30 სკამი, 2 მაგიდა პროფესიული მასწავლებლისათვის და 4 სკამი.
- **„ინფორმაციული ტექნოლოგიების კლასი“**= - 34,1 კვ.მ, (B გარემო). ოთახში მოთავსებულია დაშლილი 8 და მოქმედი 7 კომპიუტერი
- **„პრაქტიკოსი ექთნის კაბინეტი“** -43,1 კვ.მ; (C გარემო), სადაც მოთავსებულია პრაქტიკოსი ექთნის პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო სამედიცინო ტექნიკური აღჭურვილობა, მასალა ნედლეული (1 მულაჟი, 1 ფუნქციური საწოლი, ტაპჩატი, გადასაადგილებელი ეტლი, ყავარჯენი, წნევის აპარატი და სხვა).
- **სასწავლო აუდიტორია** - 33 კვ.მ, (A გარემო), - 11 ორ-ადგილიანი მერხი, 22 სკამი, 1 მაგიდა პროფესიული მასწავლებლისათვის, 1 სკამი, დაფა.
- **სასწავლო აუდიტორია** ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მილევადი პროგრამისთვის, 35,2 კვ.მ. (A გარემო), 8 ორ=ადგილიანი მერხი,16 სკამი, პროფესიული მასწავლებლის 1 მაგიდა, 1 სკამი.
- **სასწავლო აუდიტორია** 15,4კვ.მ, (A გარემო). 7 ორ-ადგილიანი მერხი 14 სკამი, პროფესიული მასწავლებლის 1 მაგიდა და 1 სკამი.
- **სასწავლო აუდიტორია** - 34,1 კვ.მ (A გარემო) - 8 ორ-ადგილიანი მერხი და 16 სკამი, 1 მაგიდა და სკამი პროფესიული მასწავლებლისთვის, 1 პროექტორი, 1 დაფა.
- **სასწავლო აუდიტორია** - 34,1 კვ.მ, (A გარემო), -12 ორ-ადგილიანი მერხი, 24 სკამი, 1 მაგიდა და სკამი პროფესიული მასწავლებლისთვის, 1 კომპიუტერი, 1 პროექტორი.
- **სასწავლო აუდიტორია** - 16,5 კვ.მ,(A გარემო), 9 ორ-ადგილიანი მერხი და 18 სკამი, 1 მაგიდა და სკამი პროფესიული მასწავლებლისთვის.
- **ოთახი მუზეუმი** - 51,2 კვ.მ.
- **საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდის სასწავლო აუდიტორია,** 34.9 კვ.მ - 9 ორ-ადგილიანი მერხი და 18 სკამი, 1 მაგიდა და სკამი პროფესიული მასწავლებლისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

- **ოთახი დამხმარე პერსონალისათვის** - 17,6 კვ.მ.
- **ოთახი ადმინისტრაციის** - 33 კვ.მ - 3 კომპიუტერი, 1 პრინტერი, სტუდენტების დოკუმენტაცია
- **საწყობი ოთახი** 14,8 კვ.მ

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი სასწავლო ფართი გამოიყენება მხოლოდ პროფესიული პროგრამების განხორციელებისთვის. გამონაკლისს წარმოადგენს საბუღალტრო აღრიცხვის კომპიუტერული კლასი, რომლესაც იყენებენ, როგორც პროფესიული, ასევე საბაკალავრო პროგრამებისათვის. ვიზიტის დროს გადამოწმდა უნივერსიტეტის სასწავლო ცხრილები, სადაც ნათლად ჩანს, რომ არ არის მეცადინეობების თანხვედრა. ექსპერტება გადაამოწმეს პროგრამის განხორციელებისთვის განკუთვნილი მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მათ შორის კომპიუტერული ტექნიკის და „ორისის“ პროგრამის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია: საგადახადო დავალება, შემოსავლის ორდერი, სასაქონლო ზედნადები, მიღება-ჩაბარების აქტი. ასევე ინვენტარიზაციის აქტი. დადგინდა, რომ დაწესებულებას <u>გააჩნია „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის შესაბამისი მატერიალური რესურსი.</u>

„საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში დაწესებულებამ პროგრამის დანართის სახით წარმოადგინა მატერიალური რესურსის ჩამონათვალი, სადაც ფიგურირებს ინვენტარი, აღჭურვილობა, მასალა, ნედლეული, რომელიც განკუთვნილია პროგრამის პრაქტიკული სწავლებისა და კლინიკური სწავლებისთვის. აღნიშნული ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივი, უზრუნველყოფილი და ხელმისაწვდომი უნდა იყოს კლინიკური პრაქტიკის ობიექტებზე მათთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. დაწესებულებას არ წარმოუდგენია „საექთნო განათლების“ პროგრამის კლინიკური პრაქტიკის განხორციელებისთვის გათვალისწინებული ხელშეკრულებები, ნაცვლად ამისა წარმოდგენილია მილევად რეჟიმში არსებული პროგრამის - „პრაქტიკოსი ექთანი“ სასწავლო/საწარმო პრაქტიკის განხორციელების მიზნით დადებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები, რომლებიც 2016 წელს არის დათარიღებული. აღნიშნული მემორანდუმი ატარებს ზოგად ხასიათს, მათში არ არის დაკონკრეტებული რა სახის პრაქტიკას გაივლის პროფესიული სტუდენტი, ერთდროულად რამდენი პროფესიული სტუდენტის მიღება შეუძლია „პრაქტიკის ობიექტს“.

აღსანიშნავია, რომ კლინიკური პრაქტიკა წარმოადგენს „საექთნო განათლების“ პროგრამის მნიშვნელოვან ნაწილს, როგორც შინაარსის, ასე მასზე განსაზღვრული კრედიტების თვალსაზრისით, ის პროგრამის მოცულობის 50% შეადგენს (90 კრედიტი). განსხვავებით „პრაქტიკოსი ექთნის“ პროგრამისა, „საექთნო განათლების“ პროგრამის შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი სწორედ კლინიკაში იძენს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს და კლინიკაშივე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხდება მისი შეფასება, ხოლო საგანმანათლებლო დაწესეულებაში მხოლოდ თეორიული სწავლება მიმდინარეობა. „კლინიკური სწავლების“ ნაწილი შემდეგი მიმართულების14 პროფესიულ მოდულს მოიცავს: ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა; თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა; გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა; კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა; სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა; პედიატრია და მოზარდები; ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია. აღნიშნული მოდულები უნდა განხორციელდეს შესაბამისი პროფილის კლინიკების ბაზაზე მათთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომლებშიც სხვა აუცილებელ პირობებთან ერთად განსაზღვრული იქნება პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა და კლინიკის ბაზაზე პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ვინაობა, მათი კვალიფიკაცია და რაოდენობა (1 მასწავლებელი 7 სტუდენტზე). ამასთან კლინიკური პრაქტიკის ობიექტმა უნდა დაადასტუროს შესაბამისი მოდულით გათვალისწინებული მატერიალური რესურსის არსებობა.

ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს მილევად რეჟიმში არსებული პროგრამის „პრაქტიკოსი ექთნის“ საწარმო პრაქტიკის ობიექტი - ბათუმის რეფერალური ჰოსპიტალი. გაესაუბრნენ ჰოსპიტალის დირექტორს, რომელმაც გამოთქვა მზაობა ჰოსპიტალში „საექთნო განათლების“ პროგრამის პროფესიული სტუდენტების მიღების შესახებ. თუმცა, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ხელშეკრულება არ არის გაფორმებული. მისი განმარტებით, აღნიშნულ პროგრამაზე ხელშეკრულებების დადება ვერ მოხერხდა ჰოსპიტალში მიმდინარე სამართლებრივ-საორგანიზაციო ცვლილებების გამო (კლინიკას შეეცვალა სახელწოდება). აქვე დადგინდა, რომ „საექთნო განათლების“ პროგრამის კლინიკური სწავლების ყველა მოდული ჰოსპიტალის ბაზაზე ვერ განხორციელდება.

აქვე უნდა აღინიშნოს, დაწესებულებას საკუთრებაში/მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის <u>თეორიული სწავლების</u> განხორციელებას.

<u>არ არის წარმოდგენილი „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროგრამის პრაქტიკული კომპონენტების განხორციელების მიზნით გაფორმებული მემორანდუმები/ხელშეკრულებები.</u>

ნაცვლად „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის დადებული ხელშეკრულებისა, უნივერსიტეტმა წარმოადგინა მილევად რეჟიმში არსებული „ბუღალტერის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საწარმო პრაქტიკისთვის დადებული მემორანდუმები, რომლებიც 2016 წლით არის დათარიღებული. აღსანიშნავია, რომ „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროგრამაში საერთოდ არ არის საწარმოო პრაქტიკის მოდული, მეტიც, პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე, შესაძლებელია პროგრამის უნივერსიტეტის ბაზაზეც განხორციელება. თუმცა შესაძლებელია, რომ პროგრამის ცალკეული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოდულები (მაგალითად, „პრაქტიკული პროექტი“), ან თუნდაც რომელიმე მოდულის სწავლის შედეგი, ხელშეკრულების საფუძველზე შესაბამისი მიმართულების კომპანიაში განხორციელდეს. იგივე აღნიშნა ინტერიუირებისას „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროგრამის ხელმძღვანელმა, განმარტა, რომ სხვადასხვა კომპანიებთან შეთანხმება ხელშეკრულებების გაფორმებაზე არსებობს, ხოლო მათი გაფორმება ვერ მოესწრო ექსპერტთა ვიზიტამდე. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფი ეწვია ერთერთ კომპანიას (ბათუმის „Financial Experts Corporation“), სადაც ხორციელდებოდა პროგრამის „ბუღალტერი“ საწარმო პრაქტიკა და ასევე იგეგმება ახალი პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ პრაქტიკული პროექტის განხორციელება. კომპანიის ხელმძღვანელობამ გამოთქვა თანამშრომლობის მზაობა და დაადასტურა ერთდროულად 4-5 პროფესიული სტუდენტის მიღების შესაძლებლობა, ასევე აღნიშნა, რომ საუკეთესო სტუდენტები შესაძლოა დასაქმდენ კომპანიაში. ექსპერტების აზრით, მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებას არ აქვს წარმოდგენილი პრატიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, შეიძლება ჩაითვალოს, რომ პროგრამისთვის დაწესებულებას საკუთრებაში/მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს „ბუღალტრული აღრიცხვის“პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას.

ხარვეზი 2

„საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული სწავლებისა და კლინიკური სწავლებისთვის განკუთვნილი მატერიალურ რესურსი (ინვენტარი, აღჭურვილობა, მასალა, ნედლეული) უზრუნველყოფილი და ხელმისაწვდომი უნდა იყოს კლინიკური პრაქტიკის ობიექტებზე მათთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა კლინიკური პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები. შესაბამისად, დაწესებულება ვერ უზრუნველყოფს „საექთნო განათლების“ 14 პროფესიული მოდულის განხორციელებას შემდეგი მიმართულებით: ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა; თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა; გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა; კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა; სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა; პედიატრია და მოზარდები; ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დასაბუთება;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები
- ვიზუალური დათვალიერება;
- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ინტერვიუ ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პრაქტიკის ობიექტების წარმოადგენლებთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ვიზიტი პრაქტიკის ობიექტებზე.

შეფასება:

☐ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას. როგორც ვიზუალური დათვალიერების დროს დაფიქსირდა აუდიტორებსა და სამუშაო სივრცეში არის ბუნებრივი განათების შესაძლებლობა. უნივერსიტეტში არის ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვის შესახებ ხელშეკრულება ს.ს."ენერგო-პრო ჯორჯიასთან". ასევე, უნივერსიტეტმა წარმოადგინა ელექტროენერგიის მოხმარების გადახდის საფასურის დამადასტურებელი დოკუმენტები.
უნივერსიტეტის მე-7 კორპუსში არსებული სველი წერტილები მოწესრიგებულია, გამიჯნულია ცალკე მამაკეცებისთვის და ქალებისთვის, შშმ პირებისათვის არის ცალე გამოყოფილი სველი წერტილი პირველ სართულზე.
გათბობის საშუალებად უნივერსიტეტი იყენებს ელექტროგამათბობლებს, რომლებიც ყველა ოთახში აქვთ განთავსებული. წარმოდგენილია 100 ელექტროგამათბობლის შესყიდვის დოკუმენტაცია (2018 წლის).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება ს.ს."ენერგო-პრო ჯორჯიასთან" (2012 წლის 23 ივლისი);
- ელექტროენერგიის მოხმარების გადახდის საფასურის დამადასტურებელი დოკუმენტები: ქვითრები, შემოსავლის ორდერი;
- გამათბობლების შესყიდვის დოკუმენტაცია (23.12.2018);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა განთავსებულია ცალკე მდგომ 2 სართულიან შენობაში (783 კვ.მ). ბიბლიოთეკაში არის წიგნების საცავი, სამკითხველო დარბაზი, ელექტრონული ბიბლიოთება. ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში განთავსებულია ინტერნეტში ჩართული 7 კომპიუტერი, ასლგადამღები, ასევე 11 მაგიდა და სკამი. შექმნილია კომფორტული გარემო, ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელიც დამტკიცებულია რექტორის 2012 წლის 20 თებერვლის N01-07-10 ბრძანებით.
ასევე უნივერსიტეტში შემუშავებულია რექტორის 2019 წლის 25 იანვრის N 01-03/04 ბრძანებით დამტკიცებული „ბიბლიოთეკის დებულება“. უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებულია ელექტრონული კატალოგი. დაწესებულებას დადებული აქვს ხელშეკრულება N2019/15 ააიპ საქართველოს ბიბლიოთეკების საინფორმაციო ქსელის კონსორციუმთან 2018 23.01.2019 ელექტრონული რესურსის გამოყენებაზზე. დაინსტალირებულია OpenBiblio-ს პაკეტი,

ექსპერტებმა შერჩევითი პრინციპით გადაამოწმეს პროგრამების სხვადასხვა მოდულებში მითითებული ლიტერატურის არსებობა.

დაფიქსირდა შემდეგი გარემოებანი:

დადგინდა, რომ „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსი, ბიბლიოთეკაში სრულად არის წარმოდგენილი. აღნიშნული წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

„საექთნო განათლების“ პროგრამის შემთხვევაში ასევე შემთხვევითი პრინციპით შერჩეულ იქნა რამდენიმე მოდული, კერძოდ: ჰისტოლოგია, მიკრობიოლოგია, ანატომია - ფიზიოლოგია,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფარმაკოლოგია, სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები, გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები. გადამოწმებისას აღმოჩნდა, რომ არცერთ პროფესიულ მოდულში მითითებული წიგნი, ბიბლიოთეკაში არ მოიძებნება. შესაბამისად, დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) არ შეესაბაება „საექთნო განათლების“ საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებულ ლიტერატურას.

ხარვეზი 3

<u>დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) არ შეესაბაება „საექთნო განათლების“ საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებულ ლიტერატურას.</u>

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „ბიბლიოთეკის დებულება“ (რექტორის ბრძანება 2019 წლის 25 იანვრის N 01-03/04);
- „ბიბლიოთეკის სარგებლობის წელი“ (რექტორის 2012 წლის 20 თებერვლის N01-07-10);
- ხელშეკრულება N2019/15 ააიპ საქართველოს ბიბლიოთეკების საინფორმაციო ქსელის კონსორციუმთან (2018 23.01.2019);
- ელექტრონული კატალოგი (http://www.tbeli.ge/biblio/opac/index.php);
- ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

☐ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

■ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები საერთოა უნივერსიტეტში არსებული ყველა საფეხურის პროგრამისათვის.

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტს 2018 წლის 4 ოქტომბერს 12 თვის ვადით დადებული აქვს ინტერნეტ-მომსახურების მიწოდების ხელშეკრულება შპს „მაგთიკომთან“, რომელიც უზრუნველყოფს მაქსიმალურ 6მბ/წმ ინტერნეტის სიჩქარეს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

2018 წლის 8 ოქტომბერს შპს „კავკასუს ონლაინთან“ დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ტბელი ფლობს დომეინს. ჰოსტინგის ხელშეკრულება დადებულია 2018 წლის 4 ოქტომბერს.
ტბელი-ს შემუშავებული აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ელექტრონული სისტემების მართვის პოლიტიკა, ასევე ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვისა და ვებ გვერდის ადმინისტრირების წესი. უნივერსიტეტს ახალი შეძენილი აქვს სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა, რომლის სრულყოფაც მიმდინარეობს. ვიზიტის დროისათვის არ არის აქტიური პროფესიულ პროგრამებთან დაკავშირებული ჩანართები.
უნივერსიტეტი ფლობს საკმარისი რაოდენობის კომპიუტერულ ტექნიკას; კომპიუტერები გამოყოფილია ადმინისტრაციისთვის, მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის. გარდა ადმინისტრაციული მიზნებით გამოყენებული კომპიუტერული ტექნიკისა, პროფესიული სწავლების სასწავლო გარემოებისათვის წარმოდგებილია 2 კომპიუტერული კლასი. მათგან ერთი კლასში, ყველა კომპიუტერში ჩატვირთულია ლიცენზირებული საბუღალტრო პროგრამა „ორისი“.
ვიზუალური დათვალიერებით დადასტურდა, რომ დაწესებულებაში არსებული საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება როგორც საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილების დებულება;
- ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ელექტრონული სისტემების მართვის პოლიტიკა (ბრძანება № 01–03/16, 30.01.2019);
- ინტერნეტ მომსახურების მიწოდების ხელშეკრულება;
- დომენისა და ჰოსტინგის ფლობის ხელშეკრულება;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის დებულება (რექტორის ბრძანება №01–03/11, 29.01.2019);
- ტექნიკის და კომპიუტერული პროგრამების შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვისა და ვებ გვერდის ადმინისტრირების წესი (ბრძანება №01–03/16, 30.01.2019);
- ხელშეკრულება შ.პ.ს „პოსტი ჯი“-სთან სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემის მომსახურების შესახებ (ხელშკრულება 31.01.2019);
- ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

☒ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტში შემუშავებულია რექტორის 2012 წლის 20 თებერვლის N01-07/08 ბრძანებით დამტკიცებული „საქმისწარმოების ინსტრუქცია“. შინაარსობრივად, აღნიშნული დოკუმენტი არის ზოგადი, სადაც პროფესიული პროგამებისთვის საქმისწარმოებაც მასში ერთიანდება.
ვიზიტის დროს შემოწმდა აქტებისა და კორესპონდენციის რეგისტრაციის ჟურნალები. დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალები არის დანომრილი, ხელმოწერილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ, არის ბეჭედდასმული და აკინძულია მაგარი ყდით.
საქმეთა ნომენკლატურის შესახებ უნივერისტეტს საექსპერტო კომისიის დებულების საფუძველზე შექმნილი აქვს მუდმივმოქმედი საექსპერტო კომისია, ასევე წარმოდგენილია საუწყებო არქივის დებულება.
გადამოწმებულ იქნა საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრის წარმოების პრაქტიკა.
განხილული იყო პროფესიული სტუდენტების სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის შესახებ ბრძანებები, კერძოდ რექტორის 2017 წლის 20 ინვისის N 01-13/9 ბრძანება, რომლის საფუძველზე სტატუსი შეუჩედრა 12 პროფესიულ სტუდენტს; რექტორის 2019 წლის 11 მარტის N 01-07/07 ბრძანება, რომლის საფუძველზე სტატუსი შეუჩერდა 3 პროფესიულ სტუდენტს; რექტორის 2019 წლის 21 ივნისის N01-07/08 ბრძანება, რომლის საფუძველზე სტატუსი შეუწყდა 12 პროფესიულ სტუდენტს (დანართი 3). ექსპერტებმა გადაამოწმეს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებების რეესტრში აღნიშნული მონაცემების ასახვის პრაქტიკა. აღმოჩნდა,რომ დაწესებულება 2017 წლის 25 ივნისიდან ვერ ახერხებს რეესტრში ინფორმაციის სრულფასოვნად შეტანას. ამიტომ დაწესებულების მიერ დაფიქსირებული მონაცემები ჩარიცხული, აქტიური სტატუსის მქონე, სტატუს შეჩერებული და სტატუს შეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობის შესახებ საკმაოდ განსხვავდება რეესტრში წარმოდგენილისგან. რეესტრის მონაცემების მიხედვით დაწესებულებაში ფიქსირდება მხოლოდ 58 აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტი, ხოლო რექტორის ზემოაღნიშნული ბრძანებებში დაფიქსირებული ინფორმაცია რეესრტში არ არის ასახული. (დანართი 5).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

<u>დაწესებულების ადმინისტრაციის უფროსის განმარტებით, ტექნიკური პრობლემების გამო ისინი ვერ ახერხებენ რეესტრში დაფიქსირებულ მონაცემებში ცვლილებების შეტანას.</u> ვიზიტის პერიოდში ადმინისტრაციამ სცადა რეესტრტან დაკავშირება და ისევ უშედეგოდ.

ხარვეზი 4

<u>დაწესებულება ვერ უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრის წარმოებას, კერძოდ დარღვეულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის ბრძანება №127/ნ დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების წესის“ მუხლი 13. „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებების რეესტრში პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მქონე/ჩარიცხული პირების შესახებ შესატანი ინფორმაცია“. ვინაიდან რეესტრში ზემოაღნიშნული წესით დადგენილ ვადებში არ არის ასახული ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელაბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის 2017 წლის 20 ივნისის N 01-13/9, 2019 წლის 11 მარტის N 01-07/07, 2019 წლის 21 ივნისის N01-07/08 ბრძანებებში მითითებული სტატუს შეჩერებული და შეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების შესახებ ინფორმაცია.</u>

<u>დასტურდება</u> (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საქმისწარმოების ინსტრუქცია;
- კანცელარიაში შემოსული და გასული კორესპონდენციის ჟურნალები;
- ბრძანება მუდმივმოქმედი საექსპერტო კომისიის შესახებ;
- საექსპერტო კომისიის დებულება;
- საუწყებო არქივის დებულება.
- დანართი 3- „რექტორის ბრძანებები აპლიკანტთა ჩარიცხვაზე, პროფესიული სტუდენტების სტატუსის შეჩერებასა და შეწყვეტაზე';
- დანართი 5 – „რეესტრის მონაცემები“.

შეფასება:

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

■ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

<u>ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;</u>

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ხანძარსაწინააღმეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები, რომლის თანახმადაც ერთმნიშვნელოვნად უნდა დასტურდებოდეს უნივერსიტეტში ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის არსებობა. ექსპერტთა ვიზიტის დროს შემოწმდა აღნიშნული საკითხი და გამოვლინდა შემდეგი: შენობის ყველა სართულზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმები, რომელიც ხელმოწერილი და ბეჭედდასმულია შესაბამისი ორგანოს მიერ. შენობას, სადაც პროფესიული სწავლება მიმდინარეობს, გააჩნია საევაკუაციო გასასვლელი. შენობაში მხოლოდ ერთ ადგილზე, საევაკუაციო კიბის უჯრედის ბოლოს განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და 2 ცეცხლმაქრი, რომლებზეც არ არის დატანილი მათი დატენვის თარიღი. მეტი ცეცხლმაქრი საშუალებები უნივერსიტეტში განთავსებული არ არის. თუმცა ვიზიტის პერიოდში უნივერსიტეტმა წარმოადგინა სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის მიწერილობა, საიდანაც ჩანს, რომ 2019 წლის 5 თებერვალს ჩატარდა ტბელის დეტალური სახანძრო-ტექნიკური შემოწმება. გამოვლენილი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრის მიზნით შემუშავებულია დეტალური გეგმა, რომლის შესაბამისად 2019 წლის 31 დეკემბრამდე დასახულია შემდეგი ღონისძიებების შესრულება: სახანძრო ჰიდრატის ან ხანძარსაწინააღმდეგო წყლის რეზერვუარის მოწყობა, მასთან მისასვლელი სახანძრო უსაფრთხოების ნიშნების გაკეთება; შენობების ყველა სათავსში ხანძრის აღმომჩენი ავტომატური სიგნალიზაციის (გარდა სველი წერტილებისა) დამონტაჟება, ყველა შენობაში ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებლობის და ევაკუაციის მართვის სისტემის დამონტაჟება, სახანძრო სიგნალიზაციის მართვის ხელსაწყოების განთავსება ისეთ სათავსში, სადაც გამოკრული იქნება ინსტრუქცია ხანძრის შესახებ სიგნალის მიღების და მორიგეს მოქმედების წესის შესახებ, უნივერსიტეტის მე-7 და მე-12 შენობებში შიდა ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების მოწყობა სახანძრო ონკანების მონტაჟით, ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებებით ყველა შენობის დაკომპლექტება, სააქტო დარბაზის სცენის და ყველა შენობის სხვენის ხის კონსტრუქციების დამუშავება სპეციალური ცეცხლდამცავი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხსნარით, ხანძრის დროს ადამიანთა ევაკუაციის გეგმის გამოკვრა საევაკუაციო გასასვლელებთან, ელ.გამანაწილებელის ფარების მოწყობა, საევაკუაციო გასასვლელების მოწესრიგება, უნივერსიტეტის თანამშრომლებისათვის სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლება, სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა, სახანძრო-სამაშველო დანაყოფის ტელეფონის ნომრის გამოკვრა თვალსაჩინო ადგილებზე, უნივერსიტეტის ტერიტორიის გაწმენდა ხმელი მცენარეებისაგან. (დანართი 6)

<u>სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები</u> აღწერილია რექტორის 2018 წლის 25 დეკემბრის № 01-03/16 ბრძანებით დამტკიცებულ ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის „სტუდენტთა მხარდაჭერის სამსახურის დებულება“ , მუხლი 5. „პირველადი სამედიცინო დახმარება“. ასევე შემუშავებულია დოკუმენტი „სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები“.

პირველადი სამედიცინო დახმარების მიღების უზრუნველსაყოფად მოქმედებს სამედიცინო დახმარების კაბინეტი, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის მეორე კორპუსში, პირველ სართულზე. კაბინეტს აქვს ბუნებრივი და ხელოვნური განათება, ნიავდება ბუნებრივი წესით და მუდმივად მარაგდება ცივი და ცხელი წყლით. კაბინეტი აღჭურვილია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარით (შესაბამისი მედიკამენტებით აღჭურვილი ,,გადაუდებელი დახმარების ჩანთა“, წნევის აპარატი, თერმომეტრი, გლუკომეტრი - შაქრის საზომი, დეფიბრილატორი). ვიზიტის დროს გადამოწმდა მედიკამენტების მოქმედების ვადა.

პროფესიულ სტუდენტებს და დაწესებულების პერსონალს სამედიცინო დახმარების გასაწევად ემსახურება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი - ექთანი.

<u>წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.</u>

წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით სასწავლო კორპუსის დერეფნები და გარე პერიმეტრი უზრუნველყოფილია სათვალთვალო კამერებით, რომელიც დაწესებულებას საპატრიარქომ გადმოსცა თხოვებით (თხოვების ხელშეკრულება № 24 03.06.2019 წელი)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „სტუდენტთა მხარდაჭერის სამსახურის დებულება“ , მუხლი 5 (რექტორის ბრძანება 2018 წლის 25 დეკემბრის № 01-03/16);
- სათვალთვალო კამერების გადმოცემის შესახებ თხოვების ხელშეკრულება № 24 (03.06.2019 წელი)
- ვიზუალური დათვალიერება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- დანართი 6 – „ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებების გეგმა“.

შეფასება:

☒ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების მხარდაჭერა საუნივერსიტეტო ცხოვრებაში მათი ინტეგრირების მიზნით ევალება სტუდენტთა მხარდაჭერის სამსახურს. (რექტორის 2018 წლის 25 დეკემბრის № 01-03/16 ბრძანებით დამტკიცებულ „სტუდენტთა მხარდაჭერის სამსახურის დებულება“).

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტების წვდომა სასწავლო გარემოსთან უზრუნველყოფილია კიბეზე განლაგებული ხის ასაკეცი პანდუსების მეშვეობით. ვიზიტის დროს აღნიშნული პანდუსები დაშლის მდგომარეობაში დასაწყობებული იყო სარდაფში. დაწესებულების ადმინისტრაციის განმარტებით, საჭიროების შემთხვევაში ხდება მათი მარტივი დამონტაჟება, რის დემონსტრირება განხორციელდა ვიზიტის დროს. ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ დაწესებულებაში შენობის მეორე სართულზე არის ადაპტირებული სველი წერტილი სსმ პროფესიული სტუდენტებისთვის, თუმცა იქ დამონტაჟებული სახელურების ზომა და მათი განლაგება სრულად არ აკმაყოფილებს მკაცრ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „სტუდენტთა მხარდაჭერის სამსახურის დებულება“ (რექტორის 2018 წლის 25 დეკემბრის № 01-03/16 ბრძანება);
- ვიზუალური დათვალლიერება.

შეფასება:

☒ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია ინფორმაცია დაწესებულების შესახებ, ისტორია, (დაწესებულების სტრუქტურა, მიღწევები, საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას ასრულებს ოფიციალური ვებ-გვერდი, რომლის მისამართიია www.tbeli.ge. ვებგვერდი ორენოვანია - ქართული და ინგლისური.

ვებგვერდი შემდეგი განყოფილებებისგან შედგება: მთავარი; უნივერსიტეტი, პროგრამები, ბიბლიოთეკა; სიახლე; გალერეა; პროფესიული; კონტაქტი. აღსანიშნავია, რომ ვერგვერდის ნაწილების უმრავლესობა, მათ შორის „პროფესიული განათლების“ განყოფილება, არ იხსნებოდა. ამიტომ ექსპერტებმა ვერ მოახერხეს მისი შეფასება.

დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით მიმდინარეობდა ინგლისურენოვანი ვერსიის ჩატვირთვა, ამიტომ ვებგვერდი შეფერხებით მუშაობდა.

ხარვეზი 5

<u>ვიზიტის პერიოდში ვებგვერდზე წარმოდგენილი ინფორმაცია არ იყო ხელმისაწვდომი, ვებ გვერდი არ ფუნქციონირებდა სრულფასოვნად.</u>

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების ვებ გვერდი http://www.tbeli.ge/.

შეფასება:

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☒ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში შემუშავებულია პროფესიული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, რომლებიც დამტკიცებულია რექტორის 2018 წლის 29 დეკემბრის N 01-03/27 ბრძანებით. სტრატეგიული გეგმა 5 მიზნისგან შედგება. მათი შესრულებლის ვადები არ არის ნათლად გაწერილი. არ ჩანს, რომ სტრატეგიული გეგმა ეფუძნება SWOT ანალიზს. იგივე პრობლემა იკვეთება სამოქმედო გეგმაში, სადაც შესრულების ვადები გაურკვევლადაა წარმოდგენილი. უნივერსიტეტს არ აქვს წარმოდგენილი სამოქმედო გეგმის შესრულების და/ან მონიტორინგის ანგარიში, არც ვებ გვერდზეა განთავსებული.

უნივერისიტეტმა წარმოადგინა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგის ჯგუფის ანგარიში. აღნიშნულ დოკუმენტში წარმოდგენილია: 1. აკადემიური პროგრამების განვითარება, სადაც უმაღლესი განათლების პროგრამების მონიტორინგის შედეგებია წარმოდგენილი; 2. ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის, ელექტრონული ბიბლიოთეკის, საბიბლიოთეკო ქსელში გაწევრიანების ყოველწლიურ განახლებას ეხება, ასევე, დისტანციური საჯარო ლექციის ჩასატარებელი აუდიტორიის მოწყობა, სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა, აუდიტორიების აღჭურვა პროექტორითა და ეკრანით, ფაკულტეტების დეკანატების- ცალკე ოთახების მოწყობა, უნივერსიტეტის ძირითადი და დამხმარე ინფრასტრუქტურის განვითარება, ორენოვანი ვებ-გვერდი. ექსპერტთა ვიზიტის დროს შემოწმდა ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი, სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა, აუდიტორიები, ინფრასტრუქტურა, რაც შეეხება ვებ გვერდს, ვიზიტის დროს ვებ გვერდი დამუშავების პროცესში იყო.

უნივერსიტეტის სტრატეგიულ გეგმაში პროფესიული პროფესიული განათლების საკითხების ასახვის დასადგენად, ექსპერტებმა გაანალიზეს უნივერსიტეტის მისია, 2019-2025 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა. აღნიშნულ გეგმაში მხოლოდ SWOT ანალიზის ძლიერ მხარეებში, ერთ პუნქტში ჩანს რომ უნივერსიტეტის განვითარების პერსპექტიულობა გამოიხატება 5 პროფესიული პროგრამის განხორციელებაშიც. დოკუმენტს თან ერთვის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია და სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი სამოქმედო გეგმა, განვითარების სამწლიან სამოქმედო გეგმაში (2019-2021 წლებში) ასევე არაფერია ნახსენები პროფესიული პროგრამების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

რაც შეეხება დაწესებულების მისიას, ის ატარებს ზოგად ხასიათს, თუმც, აღსანიშნავია, რომ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის დებულებაში მითითებულია, რომ უნივერსიტეტის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საგანმანათლებლო და პროფესიული პროგრამის განხორციელება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მისია;
- პროფესიული სტრატეგიული გეგმა (რექტორის 2018 წლის 29 დეკემბერი № 01-03/27 ბრძანება);
- პროფესიული სამოქმედო გეგმა (რექტორის 2018 წლის 29 დეკემბერი № 01-03/27 ბრძანება);
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის დებულება (რექტორის 2018 წლის 28 დეკემბრის №01-03/23 ბრძანება).

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტში პროფესიული სწავლების ადმინისტრირება ფაკულტეტების პრეროგატივას წარმოადგენს,
კერძოდ „საექთნო განათლების“ პროგრამა სოციალურ მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტზე ხორციელდება, ხოლო „საბუღალტრო აღრისხვის“ პროგრამა - აგრარულ მეცნიერებათა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტზე. პროფესიული სწავლების განმახორციელებელი ცალკე სტრუქტურული ერთეული არ არსებობს.
ვიზიტის დროს ადგილზე შემოწმდა პროფესიულ პროგრამების ადმინისტრირებაში ჩართული პერსონალის პირადი საქმეები, კერძოდ: კანცელარიის უფროსის, სოციალურ მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტისა და ბიზნეს ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანების, იურისტის, საინფორმაციო ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტის, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური- პრესსამსახურის თანამშრომლის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილის, ბუღალტერის, ადმინისტრაციის უფროსის მოადგილის, 2 ბიბილიოთეკარის, ექთნის და დამლაგებლის პირადი საქმეები.
აღსანიშნავია, რომ დაწესებულების ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები დეტალურად გაწერილი არ არის, თუმცა მათ მიერ შესასრულებელი მოვალეობების ჩამონათვალი წარმოდგენილია რექტორის 2019 წლის 7 მაისის № 01-03/27 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტის „მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების სისტემა“ ერთერთ ნაწილში - „პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“, ასევე რექტორის 2018 წლის 28 დეკემბრის №01-03/23 ბრძანებით დამტკიცებულ „ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის დებულებაში“.
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეების გადამოწმებით დასტურდება, რომ მათი კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დოკუმენტი „მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების სისტემა“ (ბრძანება2019 წლის 7 მაისის № 01-03/27;
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის დებულება (რექტორის 2018 წლის 28 დეკემბრის №01-03/23 ბრძანება);
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეები;
- ადმინისტაციულ და დამხმარე პერსონალთან გასაუბრება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
□ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში არ არის შემუშავებული პროფესიული მასწავლებლების მიმართ საკვალიფიკაციო მოთხოვნები, მათი სამსახურში მიღების ფორმალიზებული წესი, განსხვავებით აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად დადგენილ მოთოვნებთან.
თუმცა ექსპერტებმა მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პირების პირადი საქმეების და მათთან გასაუბრების საფუძველზე გადამოწმებით დასტურდება, რომ როგორც „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, ასევე „საექთნო განათლების“ პროგრამის <u>თეორიული სწავლება</u> ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. რაც შეეხება „საექთნო განათლების“ პროგრამის <u>კლინიკურ სწავლებაში ჩართული ექთნების ვინაობა ან/და საკვალიფიკაციო მოთხოვნები უნდა დადგინდეს კლინიკური პრაქტიკის ობიექტთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.</u>
ვიზიტის პერიოდში დაწესებულებას ამგვარი სახის ხელშეკრულება არ წარმოუდგენია.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მექანიზმი, მეთოდოლოგია და სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის წესი, რომელიც წარმოდგენილია რექტორის 2017 წლის 17 ნოემბრის №01–07–09/დ ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტის„მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, მუხლი 19, კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია“. ასევე შემუშავებულია პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის დასაბუთება „ბუღალტრული აღრიცხვისა“ და „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნული მეთოდოლოგიის საფუძველზე დაწესებულებამ წარმოადგინა განაცხადი თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ, კერძოდ:

- „ბუღალტრული აღრიცხვა“ - 30 პროფესიული სტუდენტი;
- „საექთნო განათლება“- 60 პროფესიული სტუდენტი.

ექსპერტების აზრით, „ბუღალტრული აღრიცხვის“ შემთხვევაში დაწესებულების განაცხადი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ სრულიად რეალისტურია. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობასა და პროფესიულ მასწავლებლებს შორის თანაფარდობა დაცულია - 15 პროფესიული სტუდენიტსათვის 9 პროფესიული მასწავლებელი.

ექსპერტების აზრით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე „საექთნო განათლების“ პროგრამის პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა ამ ეტაპზე შეუძლებელია, ვინაიდან დაწესებულებამ არ წარმოადგინა კლინიკური პრაქტიკის ობიექტებთან დადებულ ხელშეკრულებები, სადაც მითითებული იქნება ერთდროულად რამდენი პროფესიული სტუდენტის მიღება შეეძლება შესაბამისი მიმართულების კლინიკური პრაქტიკის ობიექტს, საკვალიფიკაციო მოთხოვნები ექთნის მიმართ. ამასთან დაცული უნდა იყოს თანაფარდობა 1/7, ანუ 1 ექთანზე 7 პროფესიული სტუდენტი.

შესაბამისად, განაცხადი “საექთნო განათლების“ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ (60 პროესიული სტუდენტი) დაკმაყოფილებული ვერ იქნება, მეტიც კლინიკური პრაქტიკის ობიექტებთან დადებულ ხელშეკრულებების გარეშე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გამოთვლა შეუძლებელია.

ხარვეზი 6

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ვერ დგინდება „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კლინიკურ სწავლებაში ჩართული ექთნების ვინაობა ან/და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ექთნებსა და პროფესიულ სტუდენტებს შორის თანაფარდობის (1/7) არსებობა, ასევე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა. აღნიშნული ინფორმაციის დადგენა შესაძლებელია კლინიკური პრაქტიკის ობიექტთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც დაწესებულებას არ წარმოუდგენია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების სისტემა;
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის დებულება.
- პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეები.
- ბრძანებები აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის შესახებ;
- ბრძანებები აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის შედეგების დამტკიცების თაობაზე;
- პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრება.

შეფასება:

☐ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

■ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებაში არ არსებობს პროფესიული მასწავლებლების სამსახურში მიღების ფორმალიზებული წესი, მათი შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. ყველა პროფესიულ მასწავლებელთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. აღნიშნული ხელშეკრულებები დადებულია 2019 წლის 25 თებერვალს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მოდულების მიმდინარეობის პერიოდით. ხელშეკრულების საფუძველზე ისინი დასაქმებულნი არიან, როგორც „მოწვეული ლექტორები“. აღსანიშნავია, რომ დაწესებულების მიერ შემუშავებულ სხვა დოკუმენტებშიც პროფესიული მასწავლებლის ტერმინის ნაცვლად გამოყენებულია „მოწვეული მასწავლებელი“, მაგალითად დოკუმენტში „მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განხორციელების შეფასების სისტემა“, მუხლი 5. აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასება. ამ შემთხვევაშიც შინაარსობრივად მოწვეული მასწავლებლის ქვეშ იგულისხმება პროფესიული მასწავლებელი.

წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვისას ექსპერტებმა დაადგინეს, რომ პროგრამების განხორციელებაში ჩართული პროფესიული მასწავლებლების ნაწილი იმავდროულად დაწესებულების აკადემიურ პერსონალს წარმოადგენს. ექსპერტთა ჯგუფის წევრის მიერ გადამოწმდა ბრძანებები აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის შესახებ; ბრძანებები აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის შედეგების დამტკიცების თაობაზე, ასევე აღნიშნულ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებები და დადგინდა, რომ მათი დატვირთვა ორივე კომპონენტის ფარგლებში არ აღემატება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პირადი საქმეების შემოწმებისას გამოიკვეთა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტების ნუსხა ასეთია: 2 ფოტოსურათი, პირადობის მოწმობის ასლი, CV, ცნობა სხვა სამუშაო ადგილიდან, სამეცნიერო შრომების სია, სერთიფიკატები, დიპლომები, შრომის წიგნაკი, ავტობიოგრაფია, შრომითი ხელშეკრულება. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული დოკუმენტებიდან ყველა პროფესიულ მასწავლებელს აქვს წარმოდგენილი CV და შრომითი ხელშეკრულება, სხვა დანარჩენი დოკუმენტები კი არ აქვს წარმოდგენილი სრულყოფილად. ყველა წარმოდგენილი პროფესიული პედაგოგის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ბრძნანებები აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის შედეგების დამტკიცების თაობაზე.
- პროფესიულ მასწავლებლებთან და აკადემიურ პერსონალთან დადებული ხელშეკრულებები.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (სპეციალიზაციის / სწავლის დეტალური სფეროს კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა მისამართების მიხედვით)	ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით
1	**საექთნო განათლება**	მეხუთე დონე/საფეხური	ა) ასოცირებული ხარისხი საექთნოსაქმეში(ამოქმედდეს2020 წლის 29 თებერვლიდან) 0913 ბ) მეხუთე საფეხურის პროფესიულიკვალიფიკაციასაექთნო საქმეში (მოქმედების ვადა 2020 წლის29 თებერვალი) 090554	180	210	ქართული	შუახევის მუნიციპალიტეტი . ს. ტაკიძეები (ხიჭაური)	0	0
2	**ბუღალტრული აღრიცხვა**	მეხუთე დონე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში 0411	99	129	ქართული	შუახევის მუნიციპალიტეტი . ს. ტაკიძეები (ხიჭაური)	0	30

ბ) გთხოვთ, ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეიტანოთ ინფორმაცია მხოლოდ იმ პროგრამების შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში, პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე.

№	პროგრამის დასახელება	როფესიული ანათლების საფეხური / დონე	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (სპეციალიზაციის / სწავლის დეტალური სფეროს კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა (მისამართების მიხედვით)
1	პრაქტიკოსი ექთანი	მეხუთე საფეხური	პრაქტიკოსი ექთანის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090552	134	164	ქართული	შუახევის მუნიციპალიტეტი. ს. ტაკიძეები (ხიჭაური)	14
2	ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი	მეხუთე საფეხური	ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მეხუთე საფეხურის	111	141	ქართული	შუახევის მუნიციპალიტეტი. ს. ტაკიძეები (ხიჭაური)	27

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

			პროფესიული კვალიფიკაცია 030254					
3	ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტი	მესამე საფეხური	ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარადაჭერის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040160	68	98	ქართული	შუახევის მუნიციპალიტეტი. ს. ტაკიძეები (ხიჭაური)	14

IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1 ვიზიტის დღის წესრიგი;

დანართი 2 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი - 2017;

დანართი 3 რექტორის ბრძანებები აპლიკანტთა ჩარიცხვაზე, პროფესიული სტუდენტების სტატუსის შეჩერებასა და შეწყვეტაზე

დანართი 4 „საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მაგალითი“;

დანართი 5 რეესტრის მონაცემები;

დანართი 6 ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებების გეგმა.

07.08.2019 წ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: